წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47

2011 წლის 20 ოქტომბერი

ქ. წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი 1).

მუხლი 2.
დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშების წესი (დანართი 2)

მუხლი 3.
დადგენილება ძალაშია დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ. მაჩიტიძე**

დანართი 1

წალკის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი №

--- ---

ოქმის შედგენის ადგილი ოქმის შედგენის თარიღი

1. ოქმი შეადგინა წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

2. სამართალდამრღვევი: ---

(სუბიექტის სრული დასახელება ან/და სახელი, გვარი)

(სუბიექტის სტატუსი, ბინის ან/და იურიდიული მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)

3. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და დრო;

წალკის მუნიციპალიტეტი ----------

4. სამართალდარღვევის არსი: ----------

რაც გათვალისწინებულია: ----------
(კანონის ზუსტი დასახელება შესაბამისი მუხლის მითითებით)

5. მოწმეები: ----------
(თითოეულის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობების რეკვიზიტები)

6. დაზარალებულები: ----------
(თითოეულის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობების რეკვიზიტები)

---

7. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან დაკავშირებით:

---

8. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

9. გავეცანი ზემოთ აღნიშნულ ოქმს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

(სამართალდამრღვევის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

10. ოქმი შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ოქმი სწორია, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

(ოქმის შემდგენლის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

11. მოწმე (თუ არის)

12. დაზარალებული (თუ არის)

13. ოქმი შედგენილია სამ ეგზემპლარად. სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შენიშვნა: თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდამრღვევს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტება, შენიშვნები ოქმის მიმართ, აგრეთვე ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ოქმის ხელმოწერაზე სამართალდამრღვევის უარი არ არის საქმის შეწყვეტის საფუძველი.

დანართი 2

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესი

მუხლი 1.

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №69 ბრძანების (შემდგომში ბრძანების) საფუძველზე.

2. აღნიშნული წესის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და მისი აღრიცხვა-ანგარიშების წესის დარეგულირება.

მუხლი 2.

1. პოლიგრაფიული საწარმო წალკის მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სტამბური წესით ბეჭდვას.

2. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ჩაბარების უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია საამისო მინდობილობა.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს პასუხისმგებელი პირი ინახავს გარეშე პირთაგან სათანადოდ დაცულ სათავსში.

მუხლი 3.

1. წალკის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი პირი ახდენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და აღრიცხვა-ანგარიშგებას.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამსახურის მოსამსახურეზე გაიცემა მათ მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში შესაბამისი აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 4.

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიღება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა ხორციელდება ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად. ოქმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსავლისა და გასვლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს ბრძანების № 3 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოუყენებელი და გაფუჭებული ოქმები ბარდება მათ მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ოქმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში მოსამსახურე ოქმს თან ურთავს ახსნა-განმარტებით ბარათს, რაზეც დგება სათანადო აქტი.

მუხლი 5.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა, ბრძანებისა და წინამდებარე წესის დამრღვევი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.